



საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო  
პირველი კვარტლის შესრულების  
წლიური ანგარიში

ბიუჯეტის

თბილისი

2010

თავი I

საქართველოს 2010 წლის პირველი კვარტლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები

დასახელება	3 თვის გეგმა	3 თვის საკასო შესრულება
შემოსავლები	1,189,308.1	1,216,172.5
გადასახადები	1,051,870.0	1,076,432.4
გრანტები	92,307.2	91,422.8
სხვა შემოსავლები	45,130.9	48,317.3
ხარჯები	1,291,552.8	1,221,473.3
შრომის ანაზღაურება	243,744.3	233,026.6
საქონელი და მომსახურება	164,125.0	138,761.3
პროცენტი	32,050.9	32,043.4
სუბსიდიები	45,606.5	41,393.6
გრანტები	284,327.3	277,453.7
სოციალური უზრუნველყოფა	375,832.8	368,886.6
სხვა ხარჯები	145,866.1	129,908.1
საოპერაციო სალდო	-102,244.7	-5,300.8
არაფინანსური აქტივების ცვლილება	81,089.3	65,265.2
ზრდა	101,791.9	86,986.0
კლება	20,702.6	21,720.8
მთლიანი სალდო	-183,334.0	-70,566.0
ფინანსური აქტივების ცვლილება	272,470.2	390,587.9
ზრდა	298,457.7	428,003.8
ვალუტა და დეპოზიტები	277,471.7	400,240.1
სესხები	20,986.0	27,763.7
კლება	25,987.5	37,415.9
ვალუტა და დეპოზიტები		3,868.1
სესხები	25,987.5	33,538.5
აქციები და სხვა კაპიტალი		
სხვა დებიტორული დავალიანებები		9.3
ვალდებულებების ცვლილება	455,804.3	461,153.9
ზრდა	486,426.3	491,096.1
საგარეო	419,426.3	424,147.7
საშინაო	67,000.0	66,948.4
კლება	30,622.0	29,942.2
საგარეო	12,986.6	12,985.6
საშინაო	17,635.5	16,956.6
ბალანსი	0.0	0.0

ათას ლარებში

**შენიშვნა:** ვალუტა და დეპოზიტების კლებაში გათვალისწინებულია საანგარიშო პერიოდში წინა წელს გამოუყენებელი საბიუჯეტო სახსრების დაბრუნება და სახაზინო სამსახურის ანგარიშებზე აღრიცხული დასაზუსტებელი სახსრები.

ათას ლარებში

დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა	3 თვის გეგმა	3 თვის საკასო შესრულება
შემოსულობები	1,722,424.5	1,766,405.3
შემოსავლები	1,189,308.1	1,216,172.5
არაფინანსური აქტივების კლება	20,702.6	21,720.8
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	25,987.5	37,415.9
ვალდებულებების ზრდა	486,426.3	491,096.1
გადასახდლები	1,444,952.8	1,366,165.2
ხარჯები	1,291,552.8	1,221,473.3
არაფინანსური აქტივების ზრდა	101,791.9	86,986.0
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	20,986.0	27,763.7
ვალდებულებების კლება	30,622.0	29,942.2
ნაშთის ცვლილება	277,471.7	400,240.1

**შენიშვნა:** ფინანსური აქტივების კლებაში (ნაშთის გამოკლებით) გათვალისწინებულია საანგარიშო პერიოდში წინა წელს გამოუყენებელი საბიუჯეტო სახსრების დაბრუნება და სახაზინო სამსახურის ანგარიშებზე აღრიცხული დასაზუსტებელი სახსრები.

## თავი II

### საქართველოს 2010 წლის იანვარ-მარტის შემოსავლები, არაფინანსური და ფინანსური აქტივების კლება

#### 2010 წლის იანვარ-მარტის მაკროეკონომიკური მიმოხილვა

##### მონეტარული მაჩვენებლები

2010 წლის მარტში 2009 წლის დეკემბერთან შედარებით სამომხმარებლო ფასებმა 2.4 პროცენტით მოიმატა.

იანვარ-მარტის ინფლაციაზე მნიშვნელოვანი გავლენა სამომხმარებლო კალათის ერთმა სასაქონლო ჯგუფმა მოახდინა - სურსათმა და უალკოჰოლო სასმელებმა ფასების საერთო დონე 2.17 პროცენტით გაზარდა.

2010 წლის იანვარ-მარტში ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ უმნიშვნელო რყევებით ხასიათდებოდა. 2010 წლის მარტში 2009 წლის დეკემბერთან შედარებით ლარის საშუალო თვიური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 3.0 პროცენტით გაუფასურდა და 1.729 ლარი შეადგინა ერთ აშშ დოლარზე.

ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2010 წლის მარტში 2009 წლის დეკემბერთან შედარებით 3 ფართო ფულის აგრეგატი 2.9 პროცენტით გაიზარდა და 4 792.0 მლნ ლარის ექვივალენტი შეადგინა, ხოლო 2 ფულის მასა 3.9 პროცენტით გაიზარდა და 2 222.6 მლნ ლარის დონეზე დაფიქსირდა.

2010 წლის იანვარ-მარტში დეპოზიტები უცხოურ ვალუტაში 2.1 პროცენტით, ხოლო დეპოზიტები ეროვნულ ვალუტაში 13.8 პროცენტით გაიზარდა.

2010 წლის მარტში, წინა წლის დეკემბერთან შედარებით, დოლარიზაციის კოეფიციენტი 2.2 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 71.3 პროცენტს გაუტოლდა.

## საგარეო სექტორი

2010 წლის იანვარ-მარტის განმავლობაში საგარეო სავაჭრო ბრუნვა, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 15.0 პროცენტით გაიზარდა. აქედან, საქონლის ექსპორტი 55.0 პროცენტით, ხოლო საქონლის იმპორტი კი 6.0 პროცენტით გაიზარდა.

საქონელბრუნვის მოცულობის მიხედვით, საქართველოს უმსხვილეს პარტნიორ ქვეყნებს შორის პირველი ადგილი თურქეთს უკავია, რომლის წილი 2010 წლის სამი თვის მონაცემებით, მთლიანი საქონელბრუნვის 15.6 პროცენტს შეადგენს. მას მოსდევს აზერბაიჯანი (10.1 პროცენტი), უკრაინა (9.3 პროცენტი) და ა.შ.

ექსპორტში 15.6 პროცენტით პირველ ადგილზე თურქეთია, მეორეზე აზერბაიჯანი 13.6 პროცენტით, მესამეზე სომხეთი 9.3 პროცენტით, მეოთხე პოზიციაზე იმყოფება აშშ 8.1 პროცენტით და ა.შ.

იმპორტში პირველი ადგილი 15.6 პროცენტით თურქეთს უჭირავს. შემდეგ მოდიან უკრაინა (10.5 პროცენტი), აზერბაიჯანი (8.9 პროცენტი) და ა.შ.

რაც შეეხება ვაჭრობის სასაქონლო სტრუქტურას, ამ მიმართულებითაც გარკვეული ცვლილებები შეინიშნება. საქონლის ექსპორტში პირველ ადგილზე 16.8 პროცენტით ფეროშენადნობებია, შემდეგ მოდიან მსუბუქი ავტომობილები

(11.2 პროცენტი), ოქრო დამუშავებული ან ნახევრად დამუშავებული (6.8 პროცენტი), სპილენძის მადნები და კონცენტრატები (6.0 პროცენტი) და ა.შ.

იმპორტის სასაქონლო სტრუქტურაში კი პირველ ადგილზე 11.7 პროცენტით ნავთობი და ნავთობპროდუქტებია. შემდეგ მოდის მსუბუქი ავტომობილები (6.6 პროცენტი), ნავთობის აირები და აირისებრი ნახშირწყალბადები (4.8 პროცენტი), სამკურნალო საშუალებები (3.8 პროცენტი), და ა.შ.

### ინფორმაცია საქართველოს 2010 წლის იანვარ-მარტის ნაეთი ბიუჯეტების შემოსულობების (ვალდებულებების ზრდის გარეშე) შესრულების შესახებ

2010 წლის პირველი კვარტლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობების (ვალდებულებების ზრდის გარეშე) შესრულების მაჩვენებლები ცალკეული კატეგორიების მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება.

საქართველოს 2010 წლის იანვარ-მარტის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 262.0 მლნ ლარით, წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის 23%. საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 1 318.1 მლნ ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 104%.

- **გადასახადების** საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 102.2 მლნ ლარით, წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის 24%. საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 1 129.5 მლნ ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 103%.

### საქართველოს 2010 წლის იანვარ-მარტის ნაეთი ბიუჯეტების საგადასახადო შემოსავლები

ათასი ლარი

დასახელება	ნაერთი ბიუჯეტი			
	გეგმა	ფაქტი	+/-	%
გადასახადები	1,102,243.5	1,129,548.9	27,305.4	102.5
საშემოსავლო გადასახადი	260,861.9	274,524.2	13,662.3	105.2
მოგების გადასახადი	187,936.3	187,936.3	0.0	100.0
დამატებული ღირებულების გადასახადი	480,336.9	497,004.5	16,667.6	103.5
აქციზი	111,506.3	104,594.5	-6,911.8	93.8
საბაჟო გადასახადი	17,304.8	17,304.8	0.0	100.0
ქონების გადასახადი	36,554.9	36,555.0	0.0	100.0
სხვა არაკლასიფიცირებული გადასახადი	7,742.4	11,629.7	3,887.3	150.2

შენიშვნა: ცხრილი მომზადებულია სახაზინო სამსახურის მონაცემების მიხედვით.

- **სხვა შემოსავლების** საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 67.5 მლნ ლარით, წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის 15%. საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 97.0 მლნ ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 144%.

- **გრანტების** საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 92.3 მლნ ლარით. საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 91.5 მლნ ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 99%.

**არაფინანსური აქტივების** რეალიზაციიდან მობილიზებულ იქნა 32.6 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (31.6 მლნ. ლარი) 103%-ია, ხოლო წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის 13%.

**ფინანსური აქტივების** რეალიზაციიდან მობილიზებულ იქნა 33.6 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (26.0 მლნ. ლარი) 129%-ია, ხოლო წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის 70%.

**ინფორმაცია საქართველოს 2010 წლის იანვარ-მარტის სახელმწიფო ბიუჯეტების შემოსულობების (ვალდებულებების ზრდის გარეშე) შესრულების შესახებ**

2010 წლის პირველი კვარტლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების (ვალდებულებების ზრდის გარეშე) შესრულების მაჩვენებლები ცალკეული კატეგორიების მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება.

**საქართველოს 2010 წლის იანვარ-მარტის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების** საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 189.3 მლნ ლარით, წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის 23%. საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 1 216.2 მლნ ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 102%.

**გადასახადების** საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 051.9 მლნ ლარით, წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის 24%. საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 1 076.4 მლნ ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 102%.

სახელმწიფო ბიუჯეტში სახეების მიხედვით ცალკეული გადასახადების მობილიზაციის მდგომარეობა შემდეგია:

- საშემოსავლო გადასახადის სახით მობილიზებულია 258.2 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (247.0 მლნ ლარი) 105%-ია.
- მოგების გადასახადის სახით მობილიზებულია 187.9 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (187.9 მლნ ლარი) 100%-ია.
- დამატებული ღირებულების გადასახადის სახით მობილიზებულია 497.0 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (480.3 მლნ ლარი) 104%-ია.
- აქციზის სახით მობილიზებულია 104.6 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (111.5 მლნ ლარი) 94%-ია.
- საბაჟო გადასახადის სახით მობილიზებულია 17.3 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (17.3 მლნ ლარი) 100%-ია.

**საქართველოს 2010 წლის იანვარ-მარტის სახელმწიფო ბიუჯეტის  
საგადასახადო შემოსავლები**

ათასი

დასახელება	სახელმწიფო ბიუჯეტი			
	გეგმა	ფაქტი	+/-	%
<b>გადასახადები</b>	<b>1,051,870.0</b>	<b>1,076,432.4</b>	<b>24,562.4</b>	<b>102.3</b>
საშემოსავლო გადასახადი	247,043.3	258,162.6	11,119.3	104.5
მოგების გადასახადი	187,936.3	187,936.3	0.0	100.0
დამატებული ღირებულების გადასახადი	480,336.9	497,004.5	16,667.6	103.5
აქციზი	111,506.3	104,594.5	-6,911.8	93.8
საბაჟო გადასახადი	17,304.8	17,304.8	0.0	100.0
სხვა არაკლასიფიცირებული გადასახადი	7,742.4	11,429.8	3,687.4	147.6

შენიშვნა: ცხრილი მომზადებულია სახაზინო სამსახურის მონაცემების მიხედვით.

**სხვა შემოსავლების** საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 45.1 მლნ ლარის ოდენობით, წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის 13%. მობილიზებულ იქნა 48.3 მლნ ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 107%.

საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლების მობილიზაციის მდგომარეობა ცალკეული სახეების მიხედვით შემდეგია:

- საკუთრებიდან მიღებული შემოსავლების სახით მობილიზებულია 8 362.6 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (8 314.7 ათასი ლარი) 101%-ია. აქედან:

- პროცენტები – 5 284.9 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (5 284.8 ათასი ლარი) 100%-ია.

- დივიდენდები – 41.2 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (11.2 ათასი ლარი) 368%-ია.

- რენტა – 3 036.6 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (3 018.7 ათასი ლარი) 101%-ია.

• საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მობილიზებულია 19 601.6 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (16 940.4 ათასი ლარი) 116%-ია.

– ადმინისტრაციული მოსაკრებლებისა და გადასახდელების სახით – 17 222.8 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (15 366.0 ათასი ლარი) 112%-ია. მათ შორის:

- საბაჟო მოსაკრებელი – 5 175.5 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (3 583.3 ათასი ლარი) 144%-ია;

- სალიცენზიო მოსაკრებელი – 207.8 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (552.7 ათასი ლარი) 38%-ია;

- სანებართვო მოსაკრებელი – 7 424.7 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (6 987.4 ათასი ლარი) 106%-ია.

- სახელმწიფო სერტიფიკატის მოსაკრებელი – 7.8 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (5.0 ათასი ლარი) 155%-ია;

- სარეგისტრაციო მოსაკრებელი – 232.7 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (447.8 ათასი ლარი) 52%-ია;

- სახელმწიფო საექსპერტიზო მოსაკრებელი – 0.7 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (1.0 ათასი ლარი) 70%-ია;

- სახელმწიფო ბაჟი – 3 260.7 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (2 940.0 ათასი ლარი) 111%-ია;

- საკონსულო მოსაკრებელი – 607.3 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (639.5 ათასი ლარი) 95%-ია;

- სატენდერო მოსაკრებელი – 179.9 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (161.3 ათასი ლარი) 112%-ია;

- სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი – 66.6 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (45.0 ათასი ლარი) 148%-ია.

– არასაბაზრო წესით გაყიდული საქონლისა და მომსახურებიდან – 2 378.8 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (1 574.4 ათასი ლარი) 151%-ია. მათ შორის:

- საქონლის რეალიზაციიდან – 1 336.1 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (981.4 ათასი ლარი) 136%-ია;



- მომსახურების გაწევიდან – 1 042.7 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (593.0 ათასი ლარი) 176%-ია;

- **სანქციების (ჯარიმები და საურავები) სახით** მობილიზებულია 18 469.6 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (17 432.7 ათასი ლარი) 106%-ია.

- **შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების სახით** მობილიზებულია 1 883.5 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (2 443.1 ათასი ლარი) 77%-ია

**საქართველოს 2010 წლის იანვარ-მარტის ბიუჯეტების სხვა შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები**

ათასი ლარი

დასახელება	სახელმწიფო ბიუჯეტი			
	გეგმა	ფაქტი	+/-	%
<b>სხვა შემოსავლები</b>	<b>45130.9</b>	<b>48317.3</b>	<b>3186.4</b>	<b>107.1</b>
შემოსავლები საკუთრებიდან	8314.7	8362.6	47.9	100.6
პროცენტები	5284.8	5284.9	0.1	100.0
დივიდენდები	11.2	41.2	30.0	367.9
რენტა	3018.7	3036.6	17.9	100.6
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	16940.4	19601.6	2661.2	115.7
<b>ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები</b>	<b>15366.0</b>	<b>17222.8</b>	<b>1856.8</b>	<b>112.1</b>
საბაჟო მოსაკრებელი	3583.3	5175.5	1592.2	144.4
სალიცენზიო მოსაკრებლები	552.7	207.8	-344.9	37.6
სანებართვო მოსაკრებლები	6987.4	7424.7	437.3	106.3
სახელმწიფო სერტიფიკატის მოსაკრებლები	5.0	7.8	2.8	155.0
სარეგისტრაციო მოსაკრებლები	447.8	232.7	-215.1	52.0
სახელმწიფო საექსპერტიზო მოსაკრებელი	1.0	0.7	-0.3	70.0
სახელმწიფო ბაჟი	2940.0	3260.7	320.7	110.9
საკონსულო მოსაკრებელი	639.5	607.3	-32.2	95.0
სატენდერო მოსაკრებელი	161.3	179.9	18.6	111.5
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	45.0	66.6	21.6	148.0
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	3.0	59.1	56.1	1970.9
<b>არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება</b>	<b>1574.4</b>	<b>2378.8</b>	<b>804.4</b>	<b>151.1</b>
შემოსავლები საქონლის რეალიზაციიდან	981.4	1336.1	354.7	136.1

დასახელება	სახელმწიფო ბიუჯეტი			
	გეგმა	ფაქტი	+/-	%
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	593.0	1042.7	449.7	175.8
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	17432.7	18469.6	1036.9	105.9
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	2443.1	1883.5	-559.6	77.1

შენიშვნა: ცხრილი მომზადებულია სახაზინო სამსახურის მონაცემების მიხედვით.

არაფინანსური აქტივების რეალიზაციიდან მობილიზებულ იქნა 21.7 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (20.7 მლნ. ლარი) 105%-ია.

ფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 33.5 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (26.0 მლნ. ლარი) 129%-ია.

ფინანსურ აქტივებში გადაჭარბება ძირითადად გამოწვეულია ს.ს. „გუდაურის“ მიერ რესტრუქტურირებული სესხის ძირითადი თანხის დაფარვით.


გარდა ამისა, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ანგარიშებზე აღრიცხულია 3 868.1 ათასი ლარი, საიდანაც 3 834.6 წინა წლების გამოუყენებელი საბიუჯეტო სახსრების დაბრუნებას, ხოლო 33.5 ათასი ლარი დაზუსტების შემდგომ მიიმართება დანიშნულებისამებრ.

### თავი III

#### სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები

„საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები განისაზღვრა 6 759 704.0 ათასი ლარით. აღნიშნული სახსრებიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 1 444 952.8 ათასი ლარი, რაც წლიური ბიუჯეტის 21.4%-ია. საკასო შესრულებამ შეადგინა 1 366 165.2 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 94.5%-ია.

საქართველოს 2009-2010 წლების სახელმწიფო ბიუჯეტების I კვარტლის გეგმიური და საკასო მაჩვენებლები (ათას ლარებში)



### სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები

„საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვრა 5 476 332.0 ათასი ლარით. აღნიშნული სახსრებიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 1 291 552.8 ათასი ლარი, რაც წლიური შესაბამისი მაჩვენებლის 23.6%-ია. გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 1 221 473.3 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 94.6%-ია.

### სახელმწიფო ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა

„საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა განისაზღვრა 997 023.1 ათასი ლარით. აღნიშნული სახსრებიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 101 791.9 ათასი ლარი, რაც წლიური მაჩვენებლის 10.2%-ია. საკასო შესრულებამ შეადგინა 86 986.0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 85.5%-ია.

### სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ზრდა


„საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ზრდა განისაზღვრა 86 934.1 ათასი ლარით. აღნიშნული სახსრებიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 20 986.0 ათასი ლარი, რაც წლიური მაჩვენებლის 24.1%-ია. საკასო შესრულებამ შეადგინა 27 763.7 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 132.3%-ია.

### სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების კლება

„საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების კლება განისაზღვრა 199 414.8 ათასი ლარით. აღნიშნული სახსრებიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 30 622.0 ათასი ლარი, რაც წლიური ბიუჯეტის 15.4%-ია. საკასო შესრულებამ შეადგინა 29 942.2 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 97.8%-ია.

### 2010 წლის I კვარტლის ასიგნებების სტრუქტურა

(საკასო შესრულება)



- სოციალური დახმარებების პროგრამის ფარგლებში საოჯახო დახმარების მიმღებ ბენეფიციართა რაოდენობამ საანგარიშო პერიოდის ბოლოს შეადგინა 22 ათასამდე პირი, საარსებო შემწეობის მიმღებ ოჯახთა რაოდენობამ – 163.4 ათასამდე ოჯახი, ხოლო 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ დევნილების ოდენობამ, რომლებიც იღებენ საარსებო შემწეობას – 4 ათასამდე ოჯახი. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში მიიმართა 41.0 მლნ ლარი;

- საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სახელმწიფო პენსიების ზოგიერთი კატეგორიის ზრდა. კერძოდ, გაიზარდა ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პენსია 84 ლარიდან 129 ლარამდე, ხოლო ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პენსია – 70 ლარიდან 80 ლარამდე.

- გრძელდებოდა სახელმწიფო პენსიების, სახელმწიფო კომპენსაციებისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიების გაცემა. სულ ზემოაღნიშნული მიზნებისთვის მიიმართა 225.6 მლნ ლარი;

- სხვადასხვა სოციალურ კატეგორიას მიკუთვნებულ პირთათვის ხორციელდებოდა საყოფაცხოვრებო სუბსიდიების დაფინანსება. აღნიშნულ პირთა რაოდენობამ საანგარიშო პერიოდის ბოლოს შეადგინა 81 ათასზე მეტი პირი და სულ ამ მიზნით მიიმართა 5.1 მლნ ლარი;

- ლტოლვილთა და დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის შემწეობებით უზრუნველყოფილ იქნა 219 ათასამდე ბენეფიციარი, რომლის დაფინანსებამ შეადგინა 16.4 მლნ ლარი;

- ქვეყნის მასშტაბით, საქართველოს მოქალაქეებისათვის სამედიცინო დაზღვევის ფინანსური ხელმისაწვდომობის მიზნით ხორციელდებოდა მოსახლეობის სხვადასხვა კატეგორიების დაზღვევა, კერძოდ: „სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში იანვრის თვეში დაზღვეულთა რაოდენობამ შეადგინა 790.6 ათასზე მეტი ბენეფიციარი, თებერვალში - 793.5 ათასამდე და მარტში - 793.6 ათასზე მეტი ბენეფიციარი, „ნებაყოფლობითი დაზღვევით მოსახლეობის დაფარვის ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში - 124.3 ათასზე მეტი ბენეფიციარი, „კომპაქტურ დასახლებებში მყოფ იძულებით გადაადგილებულ პირთა სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში - 12 ათასზე მეტი ბენეფიციარი, „მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში - 3 ათასზე მეტი ბავშვი, „სახალხო არტისტების, სახალხო მხატვრებისა და რუსთაველის პრემიის ლაურეატების ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში - 200-მდე ბენეფიციარი. აღნიშნული ღონისძიებების დასაფინანსებლად საანგარიშო პერიოდში სულ გადარიცხულ იქნა 38.1 მლნ ლარი. სახელმწიფოს მიერ, აგრეთვე, დაზღვეულ იქნა საქართველოს საჯარო სკოლების და ზოგიერთი საგანმანათლებლო დაწესებულების პედაგოგები და ადმინისტრაციულ-ტექნიკურ პერსონალი, სულ 81.9 ათასზე მეტი ბენეფიციარი, რაზედაც მიმართული იქნა 3.0 მლნ ლარი.

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და თავდაცვის სამინისტროს ყველა თანამშრომელის დაზღვევაზე საანგარიშო პერიოდში მიმართულ იქნა 1.2 მლნ ლარი.

- დაფინანსდა რუსეთის სამხედრო აგრესიის შედეგად დაზარალებული და ორგანიზებულად განსახლებული ოჯახების ფაქტობრივად მოხმარებული

ბუნებრივი აირის საფასური, აგრეთვე კომპაქტურად ჩასახლებული დევნილების კომუნალური ხარჯები.

- შესწავლილ იქნა სავალალო მდგომარეობაში მყოფი დევნილთა კომპაქტურად ჩასახლების 98-მდე ობიექტი, საიდანაც სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 31 ობიექტს.

- 19-მდე კომპაქტურად განსახლების ობიექტზე (ქ. თბილისში) შესაბამისი ფართები საკუთრებაში გადაეცათ აღნიშნულ შენობებში ფაქტიურად მცხოვრებ დევნილებს.

- ქალაქებში გორში, ქუთაისსა და ზუგდიდში ამოქმედდა მიგრაციის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრები, სადაც დასაქმდნენ პროგრამა „ნიდი“-ს ფარგლებში გადამზადებული კადრები.

- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების გაუჩრეული დაფინანსების პროგრამის ფარგლებში მასწავლებლებზე გაცემულია 10.0 ათასზე მეტი გაუჩრეი და საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის სასერთიფიკაციო გამოცდისთვის დარეგისტრირდა 11.0 ათასზე მეტი პედაგოგი.

- 2010 წლის პირველ კვარტალში დაფინანსდა წინა წლებში გამარჯვებული 305 მიმდინარე სამეცნიერო და 40 ახალგაზრდა მეცნიერთა კონკურსში გამარჯვებული პროექტი, მოკლევადიანი ინდივიდუალური სამეცნიერო სამოგზაურო გრანტი, 25 მეცნიერის და ახალგაზრდა მეცნიერის შოთა რუსთაველისა და ილია ჭავჭავაძის სახელობის სტიპენდიები;

- „საქართველოს ეროვნული და ოლიმპიური ნაკრების წევრთა, პერსპექტიულ სპორტსმენტა სტიპენდიების“ პროგრამის ფარგლებში სტიპენდიებს ღებულობს 500-მდე სპორტსმენი და მწვრთნელი. „ვეტერან სპორტსმენტა და სპორტის მუშაკთა სოციალური დახმარების“ პროგრამის ფარგლებში მატერიალური და სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად 180-მდე ვეტერანმა სპორტსმენტმა და სპორტის მუშაკმა მიიღო დახმარება. „ოლიმპიური ჩემპიონების სტიპენდიების“ ფარგლებში სტიპენდიები დანიშნული აქვს 31 სახელოვან სპორტსმენტს თითოეულს 1 000 ლარის ოდენობით.

- საანგარიშო პერიოდში ყველა რწმუნებულ-გუბერნატორის აპარატში შეიქმნა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური, რომლის ძირითადი ფუნქცია საგანგებო სიტუაციების დროს მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვისათვის ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება, რამაც გამოიწვია რწმუნებულ-გუბერნატორის აპარატების დაფინანსების ზრდა.

- ღვინისა და ვაზის საერთაშორისო ორგანიზაციის ეგიდით 2010 წელს საქართველო მასპინძლობს 33-ე საერთაშორისო ღვინის კონგრესს, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოს, როგორც ღვინის სამშობლოს დამკვიდრებას საერთაშორისო ასპარეზზე, ქართული ღვინის ცნობადობის ზრდას და პოპულარიზაციას. საანგარიშო პერიოდში კონგრესის სრულყოფილად ორგანიზების მიზნით მიიმართა 700.0 ათასი ლარი.

- გურჯაანისა და თელავის რაიონებში მიმდინარეობდა არსებული ვენახების გათავისუფლება ჰიბრიდული ვაზის ნარგაობებისაგან, შესაბამისი კომპენსაციის მიღებით ერთ ჰექტარ ფართობზე 1 000 ლარის ოდენობით. საანგარიშო პერიოდში გამოთავისუფლებულია სულ 192.6 ჰექტარი ფართობი. მათ შორის, გურჯაანის რაიონში 130.3 ჰექტარი, ხოლო თელავის რაიონში 62.4 ჰექტარი, რაზედაც გაცემულ იქნა შესაბამისი კომპენსაციები;

- ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობისათვის, მარაბდა-ახალქალაქი-კარწახის მონაკვეთზე კერძო საკუთრებაში არსებული მიწების გამოსყიდვის მიზნით საანგარიშო პერიოდში მიიმართა 157.0 ათასი ლარი.

- ანაზღაურებულ იქნა ყაზბეგისა და ღუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის მიერ 2009 წლის 1 დეკემბრიდან 2010 წლის 1 მარტის მდგომარეობით მოხმარებული 4 508.0 ათასი მ<sup>3</sup> ბუნებრივი აირის ღირებულება 2 029.4 ათასი ლარის ოდენობით.

- საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახელმწიფო ჯილდოზე დაწესებული ერთდროული ფულადი პრემიები გაიცა 104 დაჯილდოებულ პირზე. ამ მიზნით მიიმართა 77.0 ათასი ლარი.

**სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური  
კლასიფიკაციის მიხედვით**

**„შრომის ანაზღაურების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში  
დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 243 744.3 ათასი ლარის  
ოდენობით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა – 233 026.6  
ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 95.6%-ს, ხოლო  
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი ხარჯების 19.1%-ს  
შეადგენს.**

„საქონელი და მომსახურების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განსაზღვრულ იქნა 164 125.0 ათასი ლარის ოდენობით. საკასო შესრულებამ კი შეადგინა 138 761.3 ათასი ლარი, რაც გეგმის 84.5%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი ხარჯების 11.4%-ს შეადგენს.

„საქონელი და მომსახურების“ კატეგორიიდან ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით გაწეული დანარჩენი ხარჯების სტრუქტურა შემდეგია:

- შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება – 8 626.2 ათასი ლარი;
- მივლინებები – 7 011.6 ათასი ლარი;
- ოფისის ხარჯები – 32 233.4 ათასი ლარი;
- წარმომადგენლობითი ხარჯები – 2 136.6 ათასი ლარი;
- კვების ხარჯები – 9 917.2 ათასი ლარი;
- სამედიცინო ხარჯები – 925.2 ათასი ლარი;
- რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები – 5 200.3 ათასი ლარი;
- ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები – 13 754.3 ათასი ლარი;
- სამხედრო ტექნიკისა და ტყვია-წამლის შეძენის ხარჯები – 311.8 ათასი ლარი;
- სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება – 58 644.7 ათასი ლარი.

„პროცენტის“ მუხლით საანგარიშო პერიოდში საკასო შესრულებამ შეადგინა 32 043.4 ათასი ლარი (დაზუსტებული გეგმის 100%), რაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი ხარჯების 2.6%-ს შეადგენს.

„სუბსიდიების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 45 606.5 ათასი ლარით. ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 41 393.6 ათასი ლარი, რაც გეგმის 90.8%-ს,



ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი ხარჯების 3.4%-ს შეადგენს.

სუბსიდიის მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორცაა:

- პროფესიული განათლება, უმაღლესი საგანმანათლებლო/კვლევითი დაწესებულებების ხელშეწყობა და სამეცნიერო კვლევების პროგრამა – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხაზით აღნიშნულ ღონისძიებებზე საანგარიშო პერიოდში ჯამურად მიიმართა 10 279.7 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 95.3%-ს შეადგენს;

- კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, სახელოვნებო და სასპორტო განათლება, ხელოვნების, სპორტის განვითარება – საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ხაზით აღნიშნულ ღონისძიებებზე საანგარიშო პერიოდში ჯამურად მიიმართა 10 364.6 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 92.2%-ს შეადგენს;

- საქართველოს ენერგოსისტემა – აღნიშნული ღონისძიებების დასაფინანსებლად საანგარიშო პერიოდში მიიმართა 2 029.3 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 88.1% შეადგენს;

**„გრანტების“** მუხლით საანგარიშო პერიოდში საკასო შესრულებამ შეადგინა 277 453.7 ათასი ლარი, რაც დაზუსტებული გეგმიური მაჩვენებლის (284 327.3 ათასი ლარი) 97.6%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი ხარჯების 22.7%-ს შეადგენს.


**„სოციალური უზრუნველყოფის“** მუხლით საანგარიშო პერიოდში საკასო შესრულებამ შეადგინა 368 886.6 ათასი ლარი, რაც დაზუსტებული გეგმიური პარამეტრის (375 832.8 ათასი ლარი) 98.2%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი ხარჯების 30.2%-ს შეადგენს.

სოციალური უზრუნველყოფის მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორცაა:

- სახელმწიფო პენსიები - აღნიშნული მიზნით მიიმართა 211 841.9 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 98.8%-ია.
- სახელმწიფო კომპენსაციები და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიები – აღნიშნული მიზნით მიიმართა 10 340.2 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 96.9%-ია.
- მონეტიზებული სოციალური შეღავათები – აღნიშნული მიზნით მიიმართა 5 078.7 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ია.
- სოციალური დახმარებები – აღნიშნული მიზნით მიიმართა 39 595.8 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ია.
- ლტოლვილთა და დევნილთა შემწეობები – აღნიშნული მიზნით მიიმართა 16 200.0 ათასი ლარი, რაც გეგმის 100.0%-ს შეადგენს.

„სხვა ხარჯების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 145 866.1 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო ხარჯი გაწეული იქნა 129 908.1 ათასი ლარის მოცულობით, რაც გეგმის 89.1%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი ხარჯების 10.6%-ს შეადგენს.

2010 წლის I კვარტლის ხარჯების სტრუქტურა  
(საკასო შესრულება)



### სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში

ძირითადი ფუნქციონალური კატეგორიების მიხედვით 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის 3 თვის შესრულება შემდეგი სტრუქტურით ხასიათდება:

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროში საკასო შესრულებამ შეადგინა 403 630.4 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (431 629.1 ათასი ლარი) 93.5%, ხოლო მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების 30.8%-ს შეადგენს. მათ შორის:

- აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფის, ფინანსური და ფისკალური

საქმიანობის, საგარეო ურთიერთობების დაფინანსებამ შეადგინა 60 104.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (70 827.5 ათასი ლარი) 84.9%-ია;

- საერთო დანიშნულების მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 3 742.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (4 560.8 ათასი ლარი) 82.1%-ია;

- ფუნდამენტალური სამეცნიერო კვლევების დაფინანსების მოცულობამ შეადგინა 7 028.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (9 178.4 ათასი ლარი) 76.6%-ია;

- გამოყენებით კვლევებზე საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 24.8 ათასი ლარი, რაც გეგმის 100.0%-ია;

- ვალთან დაკავშირებულ ოპერაციებზე გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 32 140.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (32 149.8 ათასი ლარი) 100.0%-ია;

- საერთო დანიშნულების ფულადი ნაკადების მთავრობის სხვადასხვა დონეებს შორის დაფინანსებამ შეადგინა 296 462.0 ათასი ლარი, ანუ გეგმის (308 996.1 ათასი ლარი) 95.9%;

- საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 4 129.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (5 891.7 ათასი ლარი) 70.1%-ია;

**თავდაცვის** ღონისძიებების დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 110 141.3 ათასი ლარის გამოყოფა. საკასო შესრულებამ შეადგინა 107 287.9 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 97.4% ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 8.2%;

**საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების** სფეროში დაგეგმილ იქნა 188 822.3 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 167 992.8 ათასი ლარი, ანუ გეგმიური

მაჩვენებელის 89.0%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 12.8%; მათ შორის:

- პოლიციის სამსახურის და სახელმწიფო დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 109 223.1 ათასი ლარი, ანუ გეგმის (119 849.0 ათასი ლარი) 91.1%;

- სასამართლოებისა და პროკურატურის დაფინანსებამ შეადგინა 14 506.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (16 057.5 ათასი ლარი) 90.3%-ს შეადგენს.

- სასჯელაღსრულების დაწესებულებებზე გაწეულმა დაფინანსებამ შეადგინა 25 176.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (29 052.0 ათასი ლარი) 86.7%-ს შეადგენს.

- საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში გამოყენებითი კვლევების დაფინანსებამ შეადგინა 27.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (28.4 ათასი ლარი) 95.4%-ს შეადგენს.

- საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 19 060.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (23 835.4 ათასი ლარი) 80.0%-ს შეადგენს.

**ეკონომიკური საქმიანობის სფეროს დასაფინანსებლად 2010 წლის 3 თვის გეგმამ შეადგინა 88 878.7 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ – 82 406.6 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებელის 92.7%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 6.3%. მათ შორის:**

- საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობის დაფინანსებამ შეადგინა 8 036.9 ათასი ლარი, ანუ გეგმის (8 889.1 ათასი ლარი) 90.4%;

- სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობის, მეთევზეობისა და მონადირეობის დაფინანსებამ შეადგინა 3 773.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (5 848.7 ათასი ლარი) 64.5%-ს შეადგენს.

- სათბობზე და ენერგეტიკაზე გაწეულმა დაფინანსებამ შეადგინა 3 232.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (3 510.6 ათასი ლარი) 92.1%-ს შეადგენს.

- სამთომომპოვებელი და გადამამუშავებელი მრეწველობის, მშენებლობის დაფინანსებამ შეადგინა 46.7 ათასი ლარი, ანუ გეგმის (61.3 ათასი ლარი) 76.2%;

- ტრანსპორტის დაფინანსებამ შეადგინა 49 033.6 ათასი ლარი, ანუ გეგმის (50 787.1 ათასი ლარი) 96.5%;

- ეკონომიკის სხვა დარგების დაფინანსებამ შეადგინა 5 264.3 ათასი ლარი, ანუ გეგმის (6 094.0 ათასი ლარი) 86.4%;

- ეკონომიკური საქმიანობის სფეროში კვლევების და განვითარების დაფინანსებამ შეადგინა 1 680.3 ათასი ლარი, რაც გეგმის (1 773.2 ათასი ლარი) 94.8%-ს შეადგენს.

- ეკონომიკური საქმიანობის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 11 339.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (11 914.7 ათასი ლარი) 95.2%-ს შეადგენს.

**გარემოს დაცვის** სფეროს დასაფინანსებლად 2010 წლის 3 თვის გეგმამ შეადგინა 3 993.1 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ – 3 305.5 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 82.8%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 0.3%. მათ შორის:

- გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლის დაფინანსებამ შეადგინა 656.1 ათასი ლარი, ანუ გეგმის (979.1 ათასი ლარი) 67.0%;

- ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტების დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 785.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (812.9 ათასი ლარი) 96.6%-ს შეადგენს.

- გარემოს დაცვის სფეროში გამოყენებითი კვლევების დაფინანსებამ შეადგინა 244.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (253.8 ათასი ლარი) 96.1%-ს შეადგენს.

- გარემოს დაცვის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის დაფინანსებამ შეადგინა 1 619.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (1 947.3 ათასი ლარი) 83.2%-ს შეადგენს.

**საბინაო-კომუნალური მეურნეობის** სფეროს დასაფინანსებლად 2010 წლის 3 თვეში დაგეგმილი იყო 4 568.0 ათასი ლარი; საკასო შესრულებამ შეადგინა 4 521.6 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებელის 99.0%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 0.3%. მათ შორის:

- კომუნალური მეურნეობის განვითარების დაფინანსებამ შეადგინა 311.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (311.7 ათასი ლარი) 100.0%-ს შეადგენს;

- წყალმომარაგების დაფინანსებამ შეადგინა 4 209.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (4 256.3 ათასი ლარი) 98.9%-ს შეადგენს.

**ჯანმრთელობის დაცვის** სფეროს დასაფინანსებლად 2010 წლის 3 თვის გეგმა განისაზღვრა 91 788.3 ათასი ლარით, საკასო შესრულებამ შეადგინა 89 299.0 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებელის 97.3%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 6.8%. მათ შორის:

- სამედიცინო პროდუქციის, მოწყობილობების და აპარატების დაფინანსებამ შეადგინა 189.7 ათასი ლარი, ანუ გეგმის (211.2 ათასი ლარი) 89.8%;

- ამბულატორიული მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 10 710.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (10 888.7 ათასი ლარი) 98.4%-ს შეადგენს.

- საავადმყოფოების მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 28 940.7 ათასი ლარი, ანუ გეგმის (30 339.8 ათასი ლარი) 95.4%;

- საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 8 736.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (9 248.1 ათასი ლარი) 94.5%-ს შეადგენს.

- ჯანმრთელობის დაცვის სფეროში გამოყენებითი კვლევების დაფინანსებამ შეადგინა 124.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (131.3 ათასი ლარი) 94.8%-ს შეადგენს.

- ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 40 596.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (40 969.3 ათასი ლარი) 99.1%-ს შეადგენს.

### დასვენების, კულტურის და რელიგიის სფეროს

დასაფინანსებლად 2010 წლის 3 თვეში განსაზღვრული იყო 41 553.5 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 35 305.7 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებელის 85.0%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 2.7%.

მათ შორის:

- დასვენებისა და სპორტის სფეროში მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 8 755.7 ათასი ლარი, ანუ გეგმის (9 909.3 ათასი ლარი) 88.4%;

- კულტურის სფეროში მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 7 350.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (9 946.1 ათასი ლარი) 73.9%-ს შეადგენს.

- ტელე-რადიო მაუწყებლობის და საგამომცემლო საქმიანობის დაფინანსებამ შეადგინა 8 423.0 ათასი ლარი, ანუ გეგმის (9 512.1 ათასი ლარი) 88.6%;

- რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობის დაფინანსებამ შეადგინა 9 446.3 ათასი ლარი, რაც გეგმის (10 733.8 ათასი ლარი) 88.0%-ს შეადგენს.

- დასვენების, კულტურის და რელიგიის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ



შეადგინა 1 329.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (1 452.2 ათასი ლარი) 91.6%-ს შეადგენს.

**განათლების** სფეროს დასაფინანსებლად 2010 წლის 3 თვის გეგმამ შეადგინა 118 135.1 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ კი – 109 628.0 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 92.8%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 8.4%. მათ შორის:

- ზოგადი განათლების დაფინანსებამ შეადგინა 86 638.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (89 952.2 ათასი ლარი) 96.3%-ს შეადგენს.

- პროფესიული განათლების დაფინანსებამ შეადგინა 2 546.1 ათასი ლარი, ანუ გეგმის (2 815.3 ათასი ლარი) 90.4%;

- უმაღლესი განათლების დაფინანსებამ შეადგინა 12 868.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (15 322.5 ათასი ლარი) 84.0%-ს შეადგენს.

- უმაღლესის შემდგომი განათლების დაფინანსებამ შეადგინა 4.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (6.5 ათასი ლარი) 64.6%-ს შეადგენს.


- განათლების სფეროს დამხმარე მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 4 296.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (6 059.1 ათასი ლარი) 70.9%-ს შეადგენს.

- განათლების სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 3 273.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (3 979.5 ათასი ლარი) 82.3%-ს შეადგენს.

**სოციალური დაცვის** სფეროს დასაფინანსებლად 2010 წლის 3 თვეში განსაზღვრული იყო 313 835.3 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 305 081.7 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 97.2%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 23.3%. მათ შორის:

- ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 2 902.0 ათასი ლარი, ანუ გეგმის (4 029.6 ათასი ლარი) 72.0%;
- ხანდაზმულთა სოციალური დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 225 625.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (228 612.0 ათასი ლარი) 98.7%-ს შეადგენს.
- ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 48 041.8 ათასი ლარი, ანუ გეგმის (48 832.2 ათასი ლარი) 98.4%;
- საცხოვრებლით უზრუნველყოფის დაფინანსებამ შეადგინა 133.4 ათასი ლარი, ანუ გეგმის (1 878.7 ათასი ლარი) 7.1%;
- სოციალური გაუცხოების საკითხების, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიცირებას, დაფინანსებამ შეადგინა 22 304.5 ათასი ლარი, ანუ გეგმის (23 480.4 ათასი ლარი) 95.0%;
- სოციალური დაცვის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 6 074.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (7 002.4 ათასი ლარი) 86.7%-ს შეადგენს.

2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის I კვარტლის დაფინანსების სტრუქტურა ფუნქციონალურ ჭრილში



### საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდი

2010 წლის პირველ კვარტალში საქართველოს მთავრობის განკარგულებით და საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანებებით საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ შეადგინა 15 375.5 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ – 12 534.8 ათასი ლარი.

### საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი

2010 წლის პირველ კვარტალში საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ შეადგინა 15 340.4 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა – 13 659.5 ათასი ლარი.

### საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 1 აპრილის მდგომარეობით გამოყოფილი ასიგნების მოცულობამ შეადგინა 25 655.0 ათასი ლარი, მათ შორის საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ანაკლიის პატრიოტული ბანაკის მშენებლობისათვის გამოეყო 600.0 ათასი ლარი, სახელმწიფო რწმუნებულის გუბერნატორის ადმინისტრაციას აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და თვითმმართველს ქალაქ ფოთში დაბა მესტიაში ყინულის მოედნის და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით გამოეყო 550.0 ათასი ლარი, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – წყლით უზრუნველყოფის რეგიონული განვითარების სააგენტოს წყლის კომპანიების მხარდაჭერის ღონისძიებებისათვის გამოეყო 2 000.0 ათასი ლარი, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისათვის გამოიყო 2 200.0 ათასი ლარი, (მათ შორის 2009 წლის სექტემბერში მომხდარი მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებათა განხორციელებისათვის 1 700.0 ათასი ლარი), ხოლო ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებისათვის გამოყოფილია 20 305.0 ათასი ლარი, რომელიც მოხმარდა რეგიონებში წყლის, გაზიფიცირების, კანალიზაციის, ადგილობრივი და შიდა გზების, აგრეთვე ინფრასტრუქტურის სხვა დარგების დასაფინანსებას.

### **წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულებისათვის მიმართული სახსრები**

2010 წლის პირველ კვარტალში წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დასაფარავად გამოყოფილი იქნა 5 345.7 ათასი ლარი, ხოლო გამოყოფილი ასიგნებების ათვისებამ შეადგინა 4 666.8 ათასი ლარი. მათ შორის:

- წლიური საბიუჯეტო კანონით წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვისათვის და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფისათვის განსაზღვრული ასიგნებებიდან საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აპარატს გამოეყო 3.1 ათასი ლარი (ათვისება –

100%), ხოლო ადგილობრივი თვითმმართველ ერთეულების ბიუჯეტებს – 58.1 ათასი ლარი (ათვისება – 100%);

– საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ წლიური საბიუჯეტო კანონით მათთვის განსაზღვრულ ასიგნებებში წარმოქმნილი ეკონომიის ხარჯზე წინა პერიოდის დავალიანების დასაფარავად მიმართულ იქნა 1 180.8 ათასი ლარი (ათვისება – 975.6 ათასი ლარი);

– წლიური საბიუჯეტო კანონით განსაზღვრული წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვისათვის გათვალისწინებული ასიგნებიდან საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ მიმართა 100.0 ათასი ლარი („2007–2008 წლებში თძ-ის მიერ საქართველო-გერმანიის სამთავრობო შეთანხმებით განსაზღვრული პროექტების მიზნებისათვის და თძ-ის ბიუროს საჭიროებისათვის გადახდილი თანხები ანაზღაურების მიზნით; ათვისება – 100%), საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ – 3 000.0 ათასი ლარი (საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ, წინა წლებში შესრულებული საგზაო სამუშაოების აუნაზღაურებელი ნაწილის გადასახდელად; ათვისება – 2 959.4 ათასი ლარი), საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ – 226.1 ათასი ლარი („სოციალური საცხოვრისი კეთილგანწყობილ გარემოში II (შ ჩ)“ პროექტის ფარგლებში დავალიანების დასაფარავად; სახსრები ათვისებული არ იყო) და საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრომ 207.0 ათასი ლარი (მაღალი და დაბალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების, ელექტროგამანაწილებელი მოწყობილობების მშენებლობისა და მათი იმედიანობის გაზრდის მიზნით სარეაბილიტაციო ღონისძიებები დავალიანების დასაფარავად; სახსრები ათვისებული არ იყო);

– წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვისათვის და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფისათვის განსაზღვრული ასიგნებების ფარგლებში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, შესაბამისი სააღსრულებლო ბიუროების საინკასო დავალებებით, სახაზინო სამსახურის ანგარიშებიდან წინა პერიოდში

წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვაზე სასამართლო გადაწყვეტილებებით დაკისრებული თანხების სახით ავტომატურ რეჟიმში, იძულების წესით ჩამოჭრილი იქნა – 570.6 ათასი ლარი, მათ შორის ფიზიკური პირების სასარგებლოდ 424.9 ათასი ლარი, ხოლო იურიდიული პირების სასარგებლოდ – 145.7 ათასი ლარი.

## **სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა**

### **საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა:**

საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვისათვის საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან პირველ კვარტალში გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 30 275.4 ათასი ლარი, რაც პირველი კვარტლის დაზუსტებული გეგმიური მაჩვენებლის 100%-ია. აქედან, ვალების მომსახურებისათვის (პროცენტების გადახდა) გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 17 289.8 ათასი ლარი, ხოლო ვალების დაფარვისათვის გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 12 985.6 ათასი ლარი.

ძირითადი ვალის დაფარვისათვის გაწეული ხარჯი, 12 985.6 ათასი ლარის ოდენობით, კრედიტორების მიხედვით ძირითადად შემდეგია:

**მრავალმხრივი კრედიტორები** – 5 596.2 ათასი ლარი, ეს თანხა გადაირიცხა მსოფლიო ბანკის საერთაშორისო განვითარების ასოციაციის (I ) მიერ გაყოფილი კრედიტების ძირითადი თანხის დაფარვისათვის, კერძოდ:

- სარეაბილიტაციო კრედიტისათვის – 1 791.8 ათასი ლარი;
- სტრუქტურული გარდაქმნების პირველი კრედიტისათვის – 1 396.7 ათასი ლარი;
- ენერგეტიკის სექტორის გარდაქმნის კრედიტისათვის ( შ ჩ ) – 612.1 ათასი ლარი;
- მუნიციპალური განვითარებისა და დეცენტრალიზაციის პირველი პროექტის დასაფინანსებლად გამოყოფილი კრედიტისათვის – 508.6 ათასი ლარი.
- საწარმოთა რეაბილიტაციის კრედიტისათვის – 371.8 ათასი ლარი;
- ჯანდაცვის რეაბილიტაციის პირველი კრედიტისათვის – 324.1 ათასი ლარი;
- ტრანსპორტის რეაბილიტაციის კრედიტისათვის – 275.8 ათასი ლარი;
- კულტურული მემკვიდრეობის კრედიტისათვის – 115.8 ათასი ლარი;

- I -ს მიერ გამოყოფილი სხვა კრედიტებისათვის – 199.5 ათასი ლარი.

**ორმხრივი კრედიტორები – 7 389.4 ათასი ლარი, მათ შორის:**

- თურქეთი – 4 979.6 ათასი ლარი;
- იაპონია – 2 409.8 ათასი ლარი;

ვალების მომსახურებისათვის (პროცენტების გადახდა) გაწეული ხარჯი, 17 289.8 ათასი ლარის ოდენობით, კრედიტორების მიხედვით შემდეგია:

**მრავალმხრივი კრედიტორები – 9 437.7 ათასი ლარი, მათ შორის:**

- მსოფლიო ბანკის განვითარების საერთაშორისო ასოციაცია – 4 388.5 ათასი ლარი;
- სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი – 65.9 ათასი ლარი;
- ევროგაერთიანება – 498.0 ათასი ლარი;
- აზიის განვითარების ბანკი – 1 928.8 ათასი ლარი;
- საერთაშორისო სავალუტო ფონდი – 2 336.0 ათასი ლარი;
- რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი – 220.5 ათასი ლარი;

**ორმხრივი კრედიტორები – 7 852.1 ათასი ლარი, მათ შორის:**

- რუსეთი – 2 716.9 ათასი ლარი;
- თურქმენეთი – 2 113.3 ათასი ლარი;
- იაპონია – 1 072.6 ათასი ლარი;
- თურქეთი – 934.3 ათასი ლარი;
- სხვა ორმხრივი კრედიტორები 1 015.0 ათასი ლარი.

(ათასი ლარი)

დასახელება	ვალების დაფარვა	პროცენტი	სულ
კუვეიტი	-	48.3	48.3
იაპონია	2,409.8	1,072.6	3,482.4
აშშ	-	148.2	148.2
სომხეთი	-	263.0	263.0
აზერბაიჯანი	-	294.0	294.0


დასახელება	ვალების დაფარვა	პროცენტი	სულ
ირანი	-	216.2	216.2
ავსტრია	-	16.1	16.1
ნიდერლანდები	-	11.4	11.4
რუსეთი	-	2,716.9	2,716.9
თურქეთი	4,979.6	934.3	5,913.9
თურქმენეთი	-	2,113.3	2,113.3
საფრანგეთი	-	17.8	17.8
I	5,596.2	4,388.5	9,984.7
I	-	65.9	65.9
	-	498.0	498.0
	-	1,928.8	1,928.8
I ღ	-	220.5	220.5
I	-	2,336.0	2,336.0
<b>სულ</b>	<b>12,985.6</b>	<b>17,289.8</b>	<b>30,275.4</b>

### სახელმწიფო საშინაო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა

2010 წლის პირველ კვარტლის განმავლობაში, სახელმწიფო საშინაო ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 26 737.5 ათასი ლარი. აქედან სახელმწიფო ფასიან ქაღალდებზე პროცენტის გადახდამ შეადგინა 13 090.2 ათასი ლარი, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ძირითადი თანხის დაფარვამ 12 000.0 ათასი ლარი, ხოლო 2009 წელს გამოშვებული სახაზინო ვალდებულებების დისკოტის თანხის დაფარვამ 1 647.3 ათასი ლარი შეადგინა.

სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების სტრუქტურა  
საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის





რაც შეეხება „ისტორიული ვალების“ მომსახურებას, ქალაქ თბილისის მერია ახორციელებს თანხების გამოყოფას მუნიციპალურ საწარმო „თბილტრანსში“ ხელშეკრულებით მომუშავე მძღოლების მიმართ არსებული ვალის ანაზღაურების მიზნით. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ერთჯერადი საკომპენსაციო განაცემის სახით გაიცა 250.0 ათასი ლარი, რამაც გამოიწვია სახელმწიფო ვალის შემცირება.

### საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს მონაწილეობიდან გამომდინარე არსებული ვალდებულებები

საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს მონაწილეობიდან გამომდინარე არსებული ვალდებულებებისათვის 2010 წლის პირველ კვარტალში გეგმით გათვალისწინებული 3 370.8 ათასი ლარიდან სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფაქტიურად გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 3 370.7 ათასი ლარი, რაც პირველი კვარტლის დაზუსტებული გეგმიური მაჩვენებლის 100%-ია. აღნიშნული თანხა გადაირიცხა: ევროპის საბჭოს განვითარების ბანკში (1 453.3 ათასი ლარი) და აზიის განვითარების ბანკში (1 917.4 ათასი ლარი).

### საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებისათვის გადაცემული ფინანსური დახმარებები


საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებისათვის გადასაცემი ფინანსური დახმარების წლიური გეგმა განისაზღვრა 949 805.9 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის გათანაბრებითი

ტრანსფერი – 522 553.0 ათასი ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი – 10 318.7 ათასი ლარი, ხოლო სპეციალური ტრანსფერი ავტონომიური რესპუბლიკებისა და სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებისათვის – 416 934.2 ათასი ლარის ოდენობით.

2010 წლის 1 აპრილის მდგომარეობით სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადარიცხულია 271 999.9 ათასი ლარი. აქედან, გათანაბრებითი ტრანსფერი – 144 144.6 ათასი ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი – 1 874.7 ათასი ლარი, ხოლო სპეციალური ტრანსფერი – 125 980.6 ათასი ლარი.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტისათვის გადარიცხულმა სპეციალურმა ტრანსფერმა შეადგინა 1 800.0 ათასი ლარი, ხოლო თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებისათვის გადარიცხული სპეციალური ტრანსფერიდან 26 699.9 ათასი ლარი გადარიცხულია საქართველოს მთავრობისა და საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებების შესაბამისად, მათ შორის რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსებამ შეადგენა 13 458.0 ათას ლარი, რომელიც მოხმარდა რეგიონებში წყლის, გაზიფიცირების, კანალიზაციის, ადგილობრივი და შიდა გზების, აგრეთვე ინფრასტრუქტურის სხვა დარგების დასაფინანსებას. საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილმა თანხამ შეადგინა 5 741.9 ათასი ლარი, მათ შორის პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან 5 264.8 ათას ლარი, საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან 477.1 ათას ლარი. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გადარიცხულმა თანხამ შეადგინა 7 500.0 ათასი ლარი, რომელიც მიიმართება სოფლის მოსახლეობის მიერ განსაზღვრული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

2009 წლის I კვარტალში ტერიტორიული ერთეულებისთვის გადაცემული ფინანსური დახმარებების სტრუქტურა



ფინანსური დახმარება ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებში 2010 წლის იანვარ-მარტის მდგომარეობით

ავტონომიური რესპუბლიკებისა და თვითმმართველი ერთეულების დასახელება	სულ ტრანსფერი		გათანაბრებითი ტრანსფერი		მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსაზოცილებლად		სპეციალური ტრანსფერი	
	წლიური გეგმა	I კვარტლის ფაქტი	წლიური გეგმა	I კვარტლის ფაქტი	წლიური გეგმა	I კვარტლის ფაქტი	წლიური გეგმა	I კვარტლის ფაქტი
აფხაზეთის ა.რ.	7,500.0	1,800.0	0.0	0.0	0.0	0.0	7,500.0	1,800.0
აჭარა	725.8	193.0	712.8	189.0	13.0	4.0		
თვითმმართველი ქალაქი ბათუმი	114,422.5	20,244.8	14,177.7	0.0			100,244.8	20,244.8
ქობულეთის მუნიციპალიტეტი	5,010.3	880.0	3,933.4	880.0			1,076.9	0.0
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	5,634.4	800.0	4,236.4	800.0			1,398.0	0.0
ქედის მუნიციპალიტეტი	2,732.2	500.0	2,240.7	500.0			491.5	0.0
შუახვევის მუნიციპალიტეტი	3,070.6	600.0	2,530.4	600.0			540.2	0.0
ხულოს მუნიციპალიტეტი	4,390.5	950.0	3,583.2	950.0			807.3	0.0
თვითმმართველი ქალაქი თბილისი	526,000.0	185,062.7	323,037.7	102,582.0	1,400.0		201,562.3	82,480.7
ანძვეთის მუნიციპალიტეტი	3,914.8	1,071.0	2,366.0	750.0	80.3	21.0	1,468.5	300.0
გურჯაანის მუნიციპალიტეტი	6,606.7	940.7	4,099.0	900.0	127.4	30.7	2,380.3	10.0
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი	2,390.7	368.6	1,200.8	335.0	132.6	33.6	1,057.3	0.0
თელავის მუნიციპალიტეტი	5,732.8	1,583.9	3,021.8	687.8	164.0	38.0	2,547.0	858.1
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი	5,709.0	1,382.0	3,562.4	1,040.0	160.0	42.0	1,986.6	300.0
საგარეჯოს მუნიციპალიტეტი	4,443.3	895.0	2,221.0	750.0	177.6	65.0	2,044.7	80.0
სიღნაღის მუნიციპალიტეტი	3,996.4	1,058.7	2,179.5	550.0	116.3	29.7	1,700.6	479.0
ყვარლის მუნიციპალიტეტი	3,672.1	649.0	2,161.2	630.0	93.7	19.0	1,417.2	0.0
თვითმმართველი ქალაქი ქუთაისი	27,603.0	3,673.0	19,893.0	2,000.0	210.0	0.0	7,500.0	1,673.0
ჭიათურის მუნიციპალიტეტი	4,691.1	1,242.0	2,859.6	800.0	202.0	42.0	1,629.5	400.0
ტყეხელის მუნიციპალიტეტი	2,979.2	840.0	1,823.7	510.0	99.0	30.0	1,056.5	300.0
წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	5,072.0	820.0	3,516.1	600.0	119.4	20.0	1,436.5	200.0
ბაღდათის მუნიციპალიტეტი	3,212.1	791.0	2,144.0	490.0	86.0	21.0	982.1	280.0
ვანის მუნიციპალიტეტი	4,004.2	1,383.0	2,735.8	760.0	95.0	18.0	1,173.4	605.0
ხესტაფონის მუნიციპალიტეტი	3,616.9	910.0	1,782.7	450.0	207.5	60.0	1,626.7	400.0
თერჯოლის მუნიციპალიტეტი	3,425.6	982.0	1,920.2	650.0	122.0	22.0	1,383.4	310.0
სამტრედიის მუნიციპალიტეტი	3,904.6	1,347.0	2,375.4	1,180.0	143.3	37.0	1,385.9	130.0
საჩხერის მუნიციპალიტეტი	4,555.3	1,368.0	2,878.2	930.0	153.0	38.0	1,524.1	400.0
ზარაგაულის მუნიციპალიტეტი	3,510.4	1,039.0	2,148.2	600.0	107.0	24.0	1,255.2	415.0
ზონის მუნიციპალიტეტი	3,754.6	850.0	2,615.1	670.0	124.0	30.0	1,015.5	150.0
